საქართ. მუშათა სოც.-დემოკრატიული რევოლიუციონური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 220 ხუთშაბათი სექტემბრის 7 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. პროვინც. 6000 მან.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრა, შვილები: ვანო, გრიშა, თამარა, სარა და პავლე აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ პირველი საყვარელი ქმრისა და დანარჩენნი კი მამის

**სამსონ ნიკოლოზის ძე ხუნდაძის**

გარდაცვალებას. დას ფლავება ქ. ლანჩხუთში სექტემბრის 7-ს

303

**ტფილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება**

...ით აცხადებს, რომ ხუთშაბათს 7 სექტემბერს დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

მირზოევის აბანოს შეკეთებისა

5-5

## ...ლო აღმოსავლეთის საკითხის გარშემო

...ევროპის დიპლომატიის საქმიანობის ...კრების ერთი დამახასიათებელი ...ქტი იმაშიც გამოიხატება, რომ ახლო ...მოსავლეთის საკითხი დღესაც მოუწესრიგებელია და იქ სისხლის მღვრელი ...ბრძოლები არ დამთავრებულა. ომი ...თავდა ფორმალურად. ევროპის დიპლომატიამ საბოლოო განაჩენები გამოუტანა მოწინააღმდეგეებს და მშვიდობიანი პირობების შექმნას შეუდგა. ფაქტიურად ამ პირობებმა იმდენად არიეს ...მდგომარეობა, იმდენი საერთაშორისო კონფლიქტები შექმნეს, რომ დღესაც ... და სხვა სახით ომი კვლავ გრძელდება და ჯერ კიდევ შორს ვართ ნამდვილი მშვიდობიანობის აღდგენისაგან. ... ფაქტი ნათლად ამტკიცებს იმას, ...მ იმპერიალისტური და მტაცებელი ...ლიტიკის გზით შეუძლებელია ...მშვიდობიანი პირობების აღდგენა და ...ხალხთათვის საჭიროა სრულ სხვაგვარი ...ტაქტიკა და საშუალება.

...ამარჯვებულმა ანტანტამ თუ თავის ...რთულს მოქმედება ვერსალის ავზა...ი ხელშეკრულება მოახვია თავზედ, ...მალეთისათვის სევრის პირობები გამოუტანა, რომლის მიხედვითაც ისპობოდა აღნიშნული სახელმწიფოს სუვერენობა და იგი რამოდენიმე წვრილ ერთეულად ნაწილდებოდა, რომელნიც ...და მოქცეული ყოფილიყვნენ ევროპის ბატონობის ქვეშ. სევრის ხელშეკრულება სასიკვდილო განაჩენი იყო ოსმალეთის ხალხისათვის და ამ პირობებით ევროპის იმპერიალისტებს სურდათ მოესპოთ ...ოსმანიის იმპერიის დამოუკიდებელი ...არსებობა და ამ გზით დაემორჩილებინათ ... თავისი ინტერესებისათვის. მაგრამ ...ოსმალეთის ხალხმა სასტიკი პროტესტი ...განაცხადა ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ და იარაღით ხელში მოინდომა ...თავისი უმაღლესი უფლებების დაცვა. ...ანატოლიის მოძრაობა და მისი მთავრობა აქ ნაციონალური ნიადაგზეა არის ...მოცვენებული და მისი მთავარი მიზანს ...შეადგენს დაცვა ოსმალეთის ტერიტორიის მთლიანობისა და ეროვნული სუვერენობის, დამოუკიდებლობის. ანტანტამ ანატოლიის მოძრაობას იარაღით ...უპირისპირა და ძალით მოინდომა მისი ...მოსპობა. ამ პოლიტიკის განსახორციელებლად მან ერთის მხრით დაიჭირა ...ოსმალეთის მდიდარი და სტრატეგიული ...ადგილები (სირია, მესოპოტამია, ...და სხვ.) და იქ გაამაგრა თავისი ...ძალები, მეორეს მხრით ანატოლიას და...უპირისპირა საბერძნეთი. ანტანტამ საბოლოოდ ისარგებლა საბერძნეთის აგრესიული მიზნებითა და გამოიყენა იგი თავისი პოლიტიკის გასატარებლად ახლო აღმოსავლეთში. საბერძნეთი ანტანტის ...ნაყმა და მისი გეგმებით მოქმედებს განსაკუთრებით. საბერძნეთის შეიარაღებულმა ძალებმა ხელში ჩაიგდეს სმირნისა და ბრუსის ოლქები, ბოსფორის სანაპიროები და, როგორც გადმოგვცემდა გაზეთები, ამ უკანასკნელ ხანებში კონსტანტინოპოლზედაც მიიწევდნენ.

ამ გვარად ანატოლია შეიარაღებულ რკალში იყო მომწყვდეული და მისი არსებობის წინააღმდეგ საშინელი მახვილი იყო აღმართული. მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლმა ხალხმა შეურყეველი ნებისყოფა გამოიჩინა და საბჭოთა რუსეთის სიმპატიით და ენერგიული დახმარებით ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია მტერს. საშინელ სისხლის ღვრასა და შეტაკებებში ჭედდება ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის სული და მისი მოდრეკა შეუძლებელი შეიქმნა ბერძნების იარაღით. დეპეშების უკანასკნელი ცნობებით, ანგორის მთავრობის განკარგულებით ჯარი შეტევაზედ გადავიდა და დიდ შევიწროებას აყენებს ბერძნების ჯარს; უკანასკნელი ყოველს ფრონტზედ მარცხებს განიცდის და უკან იხევს, მან 150 კილომეტრით დაიხია უკან და დღეს მკაცრი ბრძოლები სწარმოებს უშაკთან. ოსმალეთის ჯარები განაგრძობენ შეტევას ბრუსისა და სმირნის მიმართულებით. ამ გვარად ახლო აღმოსავლეთი კვლავ ცეცხლის ალში არის გახვეული და მისი ტრაგედიის დასასრული არ ჩანს რვა წლის საშინელი ომების შემდეგ.

მაგრამ ანატოლიის დღევანდელი ამოძრავება და ყველა ფრონტებზე შეტევაზე გადასვლა დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ მომენტთან, რომელიც შექმნილია ახლო აღმოსავლეთის საკითხის გარშემო. საქმე იმაშია, რომ ახლო მომავალში განზრახულია ახლო აღმოსავლეთის საკითხების შესახებ კონფერენციის მოწვევა ვენეციაში და ყოველი მომქმედი ერთეული სცდილობს კონფერენცია მისთვის სასარგებლო ფაქტიური მდგომარეობის წინაშე დააყენოს: საბერძნეთს ინგლისის კარნახით სურდა კონსტანტინოპოლზედ გაევრცელებინა თავისი ბატონობა, ანატოლია კი ყველა ფრონტებით ცდილობს, რომ მტერი კისერ მოტეხილი შეახვედროს ვენეციის კონფერენციას.

მაგრამ აღსანიშნავი არის კიდევ ერთი ფაქტი. თუ რეალურად ახლო აღმოსავლეთის საკითხი მოუწესრიგებელი არის და იქ შეტაკებები ვითარდება, მეორეს მხრით თვით მოკავშირეთა შორის დიდ დაპირისპირებას აქვს ადგილი ამ საკითხის გარშემო. როგორც ევროპის საკითხში, ისე აღმოსავლეთისაშიც ანტანტის წევრები დაშორდა ერთი მეორეს და აქ ნიადაგზედ დიდი უთანხმოება ვითარდება. ინგლისი და საფრანგეთი არსებითად დ უპირისპირდნენ ერთი მეორეს არა მარტო ევროპის საკითხების ირგვლივ, არამედ აზიის კონტინენტზედაც. და ამ გარემოებას თავისი შესაფერი დაღი დაამჩნევა შეუძლია საერთაშორისო პოლიტიკაზედ.

ინგლისი აზიის მფლობელი სახელმწიფოა. მისი ბატონობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აზიის საკითხების მოწესრიგებას. ოსმალეთის მოძრაობა და მიზნები არსებითად ეწინააღმდეგება ამ პოლიტიკას და ამიტომ ინგლისის მთავარი მიზანი არის მოსპოს იგი და წვრილ ერთეულებად დანაწილებული დაემორჩილოს თავის ბატონობას. ინგლისს ერთი დიდი პოლიტიკური მიზანი ამოქმედებს ამ ჟამად: მას სურს ეგვიპტე-მესოპოტამიის, არაბეთისა, პალესტინისა და სპარსეთის გზები გააერთიანოს ინდოეთთან და დიდ ტერიტორიალურ რკალში აღმართოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა. საფრანგეთისათვის ასეთი პოლიტიკა არ არის ხელსაყრელი, სხვა რომ არა იყოს ინგლისის ასეთი გაძლიერება დიდ საფრთხეს უქმნის მის ინტერესებს ევროპაში. ამიტომ საფრანგეთმა ამის საწინააღმდეგო პოლიტიკური ხაზი აიღო და მოლაპარაკება გამართა ანგორასთან. როგორც ვიცით ამ მოლაპარაკების შედეგია ის, რომ საფრანგეთი მოვალე ხდება დაიცვას ანგორის ინტერესები. ეს არსებითად არის საფრანგეთის ინტერესების დაცვა, მას სურს ანგორა გამოიყენოს ინგლისის წინააღმდეგ და ახლო აღმოსავლეთის პირობების გართულებით აიძულოს ინგლისი დათმობაზე წავიდეს ევროპაშიაც.

აღმოსავლეთის საკითხის გარშემო მრავალჯერ გაიმართა მოლაპარაკება და კონფერენციები. მაგრამ მისი საბოლოოდ გადაწყვეტა შეუძლებელი შეიქნა; ერთის მხრივ მებრძოლი ძალების დაუთანხმებლობისა და მეორის მხრივ თვით მოკავშირეთა ინტერესთა დაპირდაპირების გამო. ახლო მომავალში მორიგი კონფერენცია იმართება. ჩვენ არ შეგვიძლია წინდაწინ განვსაზღვროთ ამ შეკრების შედეგები, შეიძლება მან ისეთივე შედეგი მოჰყვეს და ისევ კრახით დამთავრდეს, როგორც იტალიის მეორე ქალაქის გენუას კონფერენცია არც ერთს კონფერენციას დადებითი შედეგებისათვის არ მიუღწევია და სრული შანსებია იმისაც, რომ ვენეციას შეკრებასაც ასეთი ბოლო ექნება.

ყოველ შემთხვევაში ამ კონფერენციის მთავარი საგანი იქნება ოსმალეთის საკითხი. ამ საკითხის წამოყენება არსებითად ნიშნავს სევრის ხელშეკრულების გადასინჯვას. როგორც ვერსალმა, ისე სევრმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს მოპირდაპირეებს. მაგრამ ისტორიულმა ვითარებამ მათი რევიზია მოითხოვა და დღეს ენერგიულად სწარმოებს ამ ხელშეკრულებების რემონტები. ცხადია ახალ კონფერენციაზედ ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირებას ექნება დიდი ადგილი. ამ გარემოებით შეუძლია ისარგებლოს ანგორამ, მაგრამ იმპერიალისტური კონფერენციების გზით ის ვერ მიაღწევს თავის მიზნებს და ვერ დაიცავს თავისი ტერიტორიის ხელშეუხებლობასა და სუვერენობას. ოსმალეთის ხსნა ევროპის კაპიტალიზმის სიკვდილში მარხია. სანამ არსებობს ეს ძალა ის ყოველის საშუალებით შეეცდება ფეხქვეშ გასთელოს ოსმალეთი და გასცარცვოს იგი ეკონომიურად.

ჩვენი ერის წარმატებისათვის ოსმალეთის საკითხის კეთილად დაბოლოვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. განახლებული დემოკრატიული ოსმალეთი და არა იმპერიალისტური ჩვენს ინტერესსაც წარმოადგენს. ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობით ჩვენ ახალ აღმოსავლეთის ნაწილს შევადგენთ და მასთან დიდი ურთიერთობა გვაქვს. განხილვა ამ ერთეულისა და იქ საქმეების ერთად მოწესრიგება ხელს შეუწყობს ჩვენს წარმატებას.

გენუის კონფერენციაზე ჩვენი საკითხი არ განიხილეს იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ აზიის სახელმწიფო ვართ. დღეს ამ ქვეყნის საქმეებისათვის იმართება კონფერენცია. ვნახოთ მიგვიწვევენ თუ არა. ჩვენი საკითხის გადაწყვეტას, რასაკვირველია, ევროპის დიპლომატების საგნად ვერ გავხდით, მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების კონფერენციაზე მიწვევას მაინც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება.

ხ. დევდანი.

## აბირებული ჩვეულება

(უნივერსიტეტის გარშემო)

მას შემდეგ, რაც ქართული უნივერსიტეტი დაარსდა, ერთი აბირებული ჩვეულებაც განმტკიცდა. საზაფხულო ქანიკულებზე პრესა ალაპარაკდება უნივერსიტეტის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისათვის, საზოგადოება ოდნავად შეინძრევა ძლონარეობის სარეცელზე, ხელისუფლება რაიმე პროექტს შეადგენს და საქმე ამით დასრულდება. შემდეგ ყველა იარაღს დაყრის და უნივერსიტეტი უპატრონოდ რჩება.

ჩვენს უნივერსიტეტს, დღიდან დაარსებისა არ ჰყოლიხა ისეთი პატრონი, რომელსაც შეეძლო მისი აღორძინების საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებია. არც საზოგადოება, არც ხელისუფლება დიდათ არ ას ფიქრობდა და არც დღეს ფიქრობს უნივერსიტეტის შესახებ და მთლიად სიმშილით განაწამებ პროფესურასა და მოხელე სტუდენტების ამარა დარჩენილია უმაღლესი სკოლა. ცხადია ასეთ პირობებში იგი ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანს.

ჩვენ არ გვინდა აბირებული ჩვეულების თანახმად ერთხელ კიდევ შევარხიოთ ის უმოძრაო აღმოსფერა, რომელიც ესოდენ ულმობელობით შეხამავს ჩვენი მომავლის ტვინს და რაღაის ჩვენი კულტურის ხერხემალს. ჩვენ მოგვბეზრდა მარად წუწუნი უნივერსიტეტის ირგვლივ და გვინდა საკითხი დავაყენოთ პირდაპირ—ან დავხუროთ უნივერსიტეტი, ან შევქმნათ პირობები ოდნავ ნორმალური მუშაობისათვის.

დღევანდელ პირობებში უნივერსიტეტის დატოვება არა თუ მის დახურვას უდრის, არამედ კიდევ მეტს. პროფესურა უშედეგოთ ხარჯავს ენერგიას და კიდლებს უკითხავს ლექციებს, სტუდენტობა, თავის პირდაპირ მოვალეობას ამცდარი, სასოწარკვეთილი მოცლის დროსაც ვეღარ ეკარება უნივერსიტეტს. იქმნება საერთო აპატია და მეცნიერების ტაძრისადმი მიმზიდველობა ჰქრება, ნიავდება.

უნივერსიტეტის დროებით დახურვით წინასწარი მუშაობა მაინც არის შესაძლებელი, სამზადისისათვის მაინც დაეწყება ნოქმედება. ეხლა კი მხოლოდ ბედნიერ გამონაკლისებისათვის, სპეკულიანტების შვილებისათვის არის ღია უნივერსიტეტის კარი და მისთვის უნაყოფოთ ვხარჯავთ უნივერსიტეტის შესანახ თანხასაც.

თუ არის კიდევ ცოტაოდენი ნაწილი სტუდენტების, რომელნიც გამოცდებს აბარებენ, ესეც სრულიად უნივერსიტეტის გარეშე ხდება. განსაზღვრული სახელმძღვანელოების შესწავლის შემდეგ, ისინი მიდიან პროფესორებთან შინ და აბარებენ გამოცდებს. ასე, რომ მათთვისაც უნივერსიტეტი დღეს არავითარ ხელმძღვანელობას არ ასრულებს.

მაშასადამე თუ უნივერსიტეტს მივიჩნევთ როგორც სტუდენტთა აღმზრდელ დაწესებულებას, ჩვენი უნივერსიტეტი ფაქტიურად ყოველთვის დაკეტილად უნდა ჩაითვალოს სტუდენტთა უდიდესი უმრავლესობისათვის. ამიტომ ასეთ აკადემიურ თამაშს ბოლო უნდა მოეღოს, თუ გინდ უნივერსიტეტის ოფიციალურად დახურვითაც კი.

საბჭოთა რუსეთში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ საუნივერსიტეტო მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ჩვენში მამაძაღლობა საბჭოთა რუსეთისადმი უკიდურესად არის განვითარებული, ხოლო საუნივერსიტეტო საქმეებში ვიჩენთ განსაკუთრებულ ორიგინალობას. როგორც ვიცით ეს ორიგინალობა მეტად მდარე და დაბალი ხარისხის არის.

შეუძლია თუ არა დღეს სახელმწიფოს ქართ. უნივერსიტეტის არსებობის შენარჩუნება იმ სახით, რომ მან არ დაჰკარგოს სავსებით თავისი მნიშვნელობა? ჩვენ ვამბობთ, რომ შეიძლება. ამისათვის საჭიროა ხელისუფლება გათავისუფლდეს აბირებული ჩვეულებისაგან, ერთხელ შესძლოს პროექტების სისრულეში მოყვანა, გაბედული ნაბიჯების გადადგმა.

გასულ წელს ბევრი რამ არ გაკეთებულა ამ მხრივ, მაგრამ სიმპტომები მაინც მივიღეთ იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობს სტუდენტთა უზრუნველყოფას. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ განათლების კომისარიატმა 600.000 000 მანეთი გადასცა სტ. დრ. საბჭოს (რუსული ნიშნებით) მაგრამ საბჭოს ამ საქმით თანხას არა თუ არ მისცა შესაფერი მოხმარება, არამედ საბჭოს არც კი გაუგია ასეთი თანხის გაღება განათლების კომისარიატის მიერ და მხოლოდ ორმა წარმომადგენელმა სტუდენტთა კომიტეტისამ მიიღო ფული და მას მისცა სხვაგვარი დანიშნულება. ეს მტკიცდება მითაც, რომ მემ. სოც.-ფედ. პარტიის ფრაქციამ პასუხისმგებლობა მოიხსნა საბჭოს მოქმედების შესახებ და გამოვიდა მისი შემადგენლობიდან. ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზიის შემდეგ სტ. კომიტეტის ორი წარმომადგენელი მართლაც გაიწვიეს სტ. დრ. საბჭოდან.

ეს მოვიყვანეთ, როგორც დამახასიათებელი ფაქტი, რომელიც ორ დებულებას ნათელყოფს. პირველი—რომ ხელისუფლება ცდილობს სტუდენტთა დახმარებას, მეორე—რომ დახმარება არ აღწევს სტუდენტობამდე. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ხელისუფლებამ უნივერსიტეტის საკითხი ფართო მასშტაბით უნდა დასვას და საიმედო ხელმძღვანელები უნდა ჩაუყენოს მას სათავეში.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც. გასულ სასწავლო წელ უნივერსიტეტში ადგილი ქონდა „გამოსვლებს“, რაც არღვევდა აკადემიური მუშაობის სიწყნარეს. მემარჯვენე პარტიები კონტრ-რევოლიუციონური მიზნებით ცდილობდნენ სტუდენტთა მასის გამოყენებას და შესძლეს კიდეც ეს ნაწილობრივად.

საჭიროა მომავალ სასწავლო წელს ისეთი პირობების შექმნა, რომ ასეთ „გამოსვლებს“ ადგილი არ ექნეს, ამ საკითხს „კომუნისტის“ № 202 ეხება ამხ. შ. ოდ. და ცეტად მარტივად სწყვეტს. ამისათვის მისი აზრით თურმე საკმაო ყოფილა კომუნისტ სტუდენტების ჩამოყვანა პროვინციიდან, მათი 200 კაცამდე შეკრება, რომელნიც ადვილ რთებიან მემარჯვენეთა წინააღმდეგ და საქმე გაჩარხული იქნება. ყოველივე უწესოების ბოლო მოეღება.

ამ მარტივ ლოგიკას რედაქციაც ვერ ეთანხმება და შენიშვნას უკეთებს, რომ ასეთი ზომები ცალმხრივად მიგვაჩნია—მას.

ჩვენ არ გვსურს ამხ. შ. ოდ. ვეკამათოთ მასალებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი რამ ყველაზედ უფრო პოლიტიკური ზომაა.

ჩვენ ის კი არ გვინდა, რომ უნივერსიტეტში დავაგროვოთ რაც შეიძლება პოლიტიკურად ანტაგონისტური ძალები და ხელოვნური ომი გავაჩაღოთ, არამედ ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ სტუდენტთა მასა გავანთავისუფლოთ ვიწრო პოლიტიკური ბრძოლისაგან, იგი შევაჩვიოთ აკადემიურ მუშაობას და მივიღოთ არა მაინც და მაინც რომელიმე პარტიის წევრები, არამედ მომზადებუ-

ლი სპეცები, რომელნიც რევოლიუციის რიგებში თუ არ ჩადგებიან, სპეციალურ მაგიდებს მაინც მოუსხდებიან და იმუშავებენ როგორც სპეცები.

რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურად არ დავიპყროთ უნივერსიტეტი, მაგრამ „დაპყრობა“ უნდა მოხდეს ახალი მეთოდებით, აკადემიური მუშაობის გაცხოველებით, სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესებით. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ჩვენი სტუდენტობა საერთოდ თავისი მდგომარეობით არ შეიძლება იქნეს კონტრრევოლიუციონური, აქედგან იგი უაღრესად პროლეტარული ელემენტია. ამიტომ საჭიროა მეტი დადგებითი მუშაობა და სტუდენტების აკადემიური მუშაობაში ჩაბმა.

თუ წელსაც ახირებული ჩვეულება გავიმეორეთ საცსებით დავასამარებთ უნივერსიტეტის საქმეს. ეს რომ არ მოხდეს საჭიროა საუნივერსიტეტო მუშაობისათვის პირობების შექმნა და მისი ნორმალურს კალაპოტში ჩაყენება.

**სტუდენტი.**

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ახლო აღმოსავლეთის საკითხის გარშემო.**

„პრავდას“ №-190-ში მოთავსებულია ცნობა, რომელიც ეხება ახლო აღმოსავლეთის საკითხს. გაზეთი აღნიშნავს, რომ „მორნინგ პოსტის“ გადმოცემით, სტამბოლის, ანგორის და ათინის მთავრობებმა მიიღო ერთგვარი წინადადება ვენეციის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შესახებ. გაზეთი დასძენს, რომ „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი აცხადებს, რომ არსებობს ურყევი საბუთები იმისა, რომ საფრანგეთი ვალდებული ხდება, თანახმად საფრანგეთ-ანგორის ხელშეკრულებისა, მონაწილეობა არ მიიღებს არც პოლიტიკურსა და არც სამხედრო საქმეებში, რომელიც მიმართული იქნება ოსმალეთის წინაამდეგ, ამის მიხედვით-განაგრძობს კორესპონდენტი ფრიად საეჭვო ხდება, რომ ვენეციის კონფერენციამ რაიმე დადებით შედეგს მიაღწიოს. ასნთავე პესიმისტურად უცქერის კონფერენციას პარიზის გაზეთი „ჟურნალი“. გაზეთის აზრით, კონფერენცია დასრულდება ისევე უშედეგოდ, როგორც დასრულდა გენუა და ჰააგა, რადგანაც მისი მოწვევა დაკავშირებულია მთელ რიგ გაუგებრობასთან მაშინ, როდესაც საფრანგეთი და იტალეთი, ცდილობენ მშვიდობიანობის მიღწევას მარტის პირობების შეცვლით. ინგლისს არ სურს ამ პირობების უარყოფა და მოითხოვს, რომ ეს პირობები იქნეს მიღებული ანგორის მიერ სანამ დაიწყებოდეს მოლაპარაკება. ეს შეუძლებებელია და ამიტომ ინგლისი დაინტერესებულია სტამბოლის ოკუპაციით, რომელიც გააგრძელებს ანტი-ანგორულ პოლიტიკას.

ინგლისის პრესა პესიმისტურად უყურებს ვენეციის კონფერენციაზე ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტას. ინგლისი დასთანხმდა კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებას იმ პირობით, რომ არ მოხდეს მცირე აზიის ევაკუაცია. ამავე დროს სტამბოლის კორესპონდენტი იუწყება, რომ ანგორის მთავრობა ვენეციის კონფერენციაზე გამოვა შემდეგი მოთხოვნებით — 1. სმირნის ევაკუაცია, 2. კაპიტულიაციის რეჟიმის მოხსნა, 3. ურთი-ერთ გარანტია საბერძნეთში მცხოვრებ ქრისტიანებისა და მუსლიმანებისათვის, 4. „გავლენის სფეროების“ პრინციპის უარყოფა.

# ოსმალეთ საბერძნეთის ომი

**ბრუსას აღება**

ანგორა 5 სექ. დღეს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს ბრუსა. სამხრეთის ფრონტზე ოსმალეთის ჯარები განაგრძობენ შეტევას სმირნის მიმართულებით. ალა-შეხირთან წამოიყვანეს 14 000 ტყვე. საბერძნეთის არმიის მარცხენა ფრთა სრულიად განადგურებულია. ფართო საზოგადოებრივ წრეების განწყობილება ისეთია, რომ ომი საბერძნეთთან მოგებულად ითვლება. სამხედრო მეთვალყურენი პრესაში აღნიშნავენ, რომ შეტევის პირველი პერიოდი დამთავრდა უშაკის და ესკი შეხირის აღებით. შეტევის მეორე პერიოდი ეხლა იწყება.

მოსკოვი. 6 სექ. ანგორიდან მიღებულ ცნობის თანახმად, შეტევა გრძელდება. საბერძნეთის არმია ორ ნაწილად არის გაჭრილი. ჩრდილოეთის ჯგუფი სრულიად განადგურებულია, სამხრეთის ჯგუფი განაგრძობს უკან დახევას. სმირნაში ჩავიდა ბრიტანეთის დრედნოუტი, მოელიან ინგლისის ესკადრის სხვა გემების ჩასვლასაც.

— საბერძნეთის ცნობით, ბერძნების უკან დახევა გრძელდება. ოსმალეთის ჯარები იმყოფებიან 200 კილომეტრის მანძილზე სმირნის აღმოსავლეთით. საბერძნეთის ფლოტმა მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ გავიდეს სმირნაში.

— ევროპის პრესა საბერძნეთის ჯარების მიერ ესკი-შეხირის ევაკუაციას სთვლიან მთელი კამპანიის წაგებად.

— იტყობინებიან ათინაში ახალი მთავრობის შედგენის შესახებ.

— გაზ. „ტაიმსი“ იტყობინება საბერძნეთის მთავრობის სახელიწიფოებისადმი მიმართვის შესახებ, რომელშიც საბერძნეთი სთხოვს დახმარებას დროებითი ზავის ჩამოგდების საქმეში.

— გაზ. „ტანი“ ომის გაგრძელებაში ბრალსა სდებს ინგლისს, აღნიშნავს რა, რომ ეხლა დროებითი ზავის აუცილებელ პირობათ უნდა იყოს ბერძნების მიერ მცირე აზიის დაუყოვნებელი და სრული გაწმენდა.

— გაზ. „დეილი ექსპრესი“ აღნიშნავს, რომ ბერძნებმა უნდა დასცალონ სმირნა და ის ოლქები, რომელიც მათ მიიღეს სევრის ხელშეკრულების ძალით.

— საბერძნეთის უმაღლესმა კომისარმა სმირნაში აცნობა ანტანტის ელჩს, რომ ბერძნები მზად არიან მოახდინონ სმირნის ევაკუაცია.

— მოკავშირე წრეებმა მიახვედრეს საბერძნეთის მთავრობა, რომ მცირე აზიის ევაკუაცია არის ზავის აუცილებელი პირობა. მდგომარეობა რთულდება, ოსმალეთის მოთხოვნილებაა დასცალონ უშაკი, რაც მოკავშირეებს მიუღებლად მიაჩნიათ.

— იტყობინებიან საბერძნეთში ვენიზელოსის დაბრუნების შესახებ.

**ნოტა ბერძნების მხეცობის შესახებ.**

მოსკოვი 6 სექტემბერი. ანგორის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გადასცა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ოსმალეთში ნოტა იმ მხეცობის შესახებ, რომელსაც ბერძნები იჩენენ უკან დახევის დროს. ნოტაში აღნიშნულია ქალაქები, სადაც ბერძნები ცეცხლს უჩენდნენ მუსლიმანების კვარტალებს. ზოგიერთ ადგილებში ყველა მცხოვრებნი მამაკაცები და ქალები დამწყვდეული იყვნენ მეჩეთებში, რომელსაც გაუჩინეს ცეცხლი. ნოტა გამოსთქვამს იმედს, რომ რუსეთის პრესა სათანადოთ გაასამართლებენ ბერძნების დანაშაულს და შეეცდებიან ზეგავლენა მოახდინონ საბერძნეთის მთავრობაზე, რათა მან ბოლო მოუღოს ასეთ სისხლს.

**ოსმალეთის შტაბის ცნობა.**

მოსკოვი 6 სექტემბერი. ოსმალეთის შტაბი იტყობინება საბერძნეთის რვა დივიზიის სრულ განადგურების შესახებ. ხელთ იგდეს 200 ზარბაზანი, 600 ავტომობილი, რამდენიმე შტაბი და სარდლები. მთელი წამოღებული ქონება არის ინგლისის მიერ მოწოდებული.

**მილოცვები ოსმალეთს.**

მოსკოვი, 6 სექტემბერი. საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ანგორაში მიულოცა სარდლობას და დიდ ნაციონალურ ყრილობას ოსმალეთის ჯარების გამარჯვება საბჭოთა რუსეთის სახელით.

— გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილემ კარახანმა გაუგზავნა ანგორის კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მილოცვა ოსმალეთის ჯარის გამარჯვების გამო.

მილოცვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ხალხი გულწრფელად იზიარებს ოსმალეთის ხალხის სიხარულს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იბრძვის ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. დღეს ოსმალეთის ხალხმა, ნათქვამია მილოცვაში, იცოდეს, რომ საბჭოთა რუსეთის მუშები და გლეხები თვალყურს ადევნებენ ოსმალეთის ხალხის გმირულ ბრძოლას და გულწრფელად უხარიათ ოსმალეთის არმიის გამარჯვება.

**საბერძნეთის ჯარის განადგურება.**

ნაუენი. 5 სექტემბერი. ოსმალეთის მთავარმა შტაბმა გამოაქვეყნა ცნობები აფიონ კარა გისარის მახლობლად მომხდარ გადამწყვეტ — ბრძოლის შესახებ, რომელიც გაგრძელდა 5 დღეს და დამთავრდა საბერძნეთის არმიის სრული დამარცხებით, რომელიც იქნა გათიშული ორ ნაწილად.

საბერძნეთის ცნობით, მტკიცდება ესკი — შეხირის ევაკუაცია და სამხრეთ-არმიისა და მე-3-ე არმიის კორპუსის უკან დახევა.

საბერძნეთის ფლოტმა ბრძანება მიიღო გავიდეს სმირნაში. იტყობინებიან, რომ საბერძნეთის უმაღლესმა კომისარმა სტერკიადიომ მიმართა სმირნაში მყოფ მოკავშირე სახელმწიფოთა ყველა ელჩებს განცხადებით, რომ ბერძნები მზად არიან მოახდინონ სმირნის ევაკუაცია. თუ ... ქალაქში მცხოვრებ ბერძნებს და სომხებს, რომლებიც იმყოფებიან საბერძნეთის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ. მათი პირადობისა და ქონების ხელუხლებლობაში.

ბოლდო. 5 სექტემბერი. ათინის გაზეთები ადასტურებენ ცნობებს ოსმალოების მიერ უშაკის აღების შესახებ.

საბერძნეთის ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, რომ ესკი-შეხირის და უშაკის დაკარგვის გამო, ბრუსის ევაკუაცია აუცილებელია.

საბერძნეთის პრესა ლაპარაკობს ბრუსსის მომავალ საშიშროების შესახებ.

რომი. 5 სექტემბერი. ანგორის გარეშე საქმეთა მინისტრმა ფეტვებეიმ, რომელიც ამყოფება რომში, განაცხადა ინტერვიუში, რომ ოსმალეთი სხვას არაფერს მოითხოვს გარდა იმისა, რომ საბერძნეთმა დატოვოს როგორც მცირე აზია, ისე ფრაკია.

# უცხოეთი

**პუანკარეს პასუხი.**

ბოლდო 5 სექტ. იტალიის პრესის მიერ პუანკარეს პასუხი ბალფურის ნოტაზე მიღებულია კეთილგანწყობილებით. „ტრიბუნა“ სწერს საფრანგეთის და იტალიის ინტერესების ერთიანობაზე.

„ნიუორკ ტრიბუნის“ სიტყვით, პუანკარეს ნოტა ბალფურის ნოტაზე ფართო ჰორიზონტს შლის სხვა და სხვა საკითხის მოსაგვარებლად, რომელსაც ამდენ ვიწრო თვალსაზრისით უდგებოდნენ. საფრანგეთი გამოდის მოთავე მიმდინარეობისა, რომელსაც დასახული აქვს მიზნათ ევროპის გამაგრება და გაჯანსაღება.

**მაღაროებში მომუშავეთა გაფიცვის შესახებ ამერიკაში.**

ბორდო. 5 სექტ. ფიქრობენ, რომ პრეზიდენტ გარდინგის ჩარევა ბოლოს მოუღებს მაღაროების მუშების გაფიცვას. მუშათა ფედერალური კომიტეტი დადგენილებამ ჩიკაგოში, რომლით ... ძალებით გაფიცულთ გაიწვიონ ... პაგანდა რკინის გზელთა შორის მუშაობის შეწყვეტის შესახებ დიდი შთაბეჭდილება ძალიან მუშებზე.

# აგრარულ პოლიტიკისათვის

ამ თავითვე რუსეთის რევოლიუციის შინა ბუნებას ორი რამ ახასიათებდა: მიწის საკითხის მიზანშეწონილად გადაწყვეტა და ეროვნული პრობლემის მოწესრიგება. ეს ორი ძირითადი სოციალ-პოლიტიკური საკითხი რევოლიუციის მსვლელობაში პარალელ ხაზებივით მიემართებოდა და აძლევდა რევოლიუციას დიდ სოციალისტურ მოძრაობის შინაარსს.

აგრარული საკითხი მეტად მწვავე და რთული ამოცანა იყო ყოველთვის და არის დღესაც. თებერვლის რევოლიუციის მარცხი და ოქტომბრის გამარჯვების მიზეზები უმთავრესად მიწის საკითხის გადაუჭრელობაში უნდა ვეძიოთ. რუსეთის მშრომელი მასსა—სოფლის გლეხ-კაცობა მიწის მუშების ხელში გადასვლას ცის მანანასავით მოელოდა. თებერვლის რევოლიუციის მესვეურებმა ვერ გაამართლეს მშრომელი ხალხის იმედები: ვიქტორ ჩერნოვის ოპორტუნიზმმა მიწის საკითხში ძალზე შეანელა სოფლის მუშების მხურვალე თანაგრძნობა კოალიციონურ მთავრობისადმი. „ოქტომბერი“ სრულიად ბუნებრივად ამოტივტივდა რუსეთის ისტორიის სარეცელზე მეტად საკვირველი, ბიბლიური სასწაული იქნებოდა ამხედრებულ მშრომელთა კლასის რევოლიუციური სტიქიის გაქრობა არა ლენინიზმისაკენ.

აშკარაა, ბოლშევიკებმა შესაფერ მომენტში აუღეს ალღო გლეხების სულისკვეთებას. რუსეთი უმთავრესად მიწის მუშების-გლეხ-კაცობის კლასიკური ქვეყანაა. რევოლიუციის ბედიც გლეხ კაცობას ემყარება. ქალაქის მუშის გვერდით იბრძვის დღეს მიწის მუშა იარაღით ხელში. გლეხთა ხიშტები ქმნის ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის წითელ ფურცლებს. ფორმალი თვალსაზრისით ეს მეტად არა ჩვეულებრივი მოვლენაა. მართლაც, ისტორიულად არც ერთ რევოლიუციაში მსოფლიოს მასშტაბით გლეხ-კაცობას არ მიუღია ისეთი აქტიური, თავგანწირული მონაწილეობა, როგორც ეს ხდება „ჩამორჩენილ“, „უკულტურო—უკაპიტალიზმო“ ქვეყნის—რუსეთის სინამდვილეში.

მეთვრამეტე—მეცხრამეტე საუკუნეში გლეხთა მასებში გამეფებულ აპოლიტიზმმა, საზოგადოდ—პასიურობამ რევოლიუციის საქმეებში, ზოგი სოციოლოგი და სოციალიზმის მქადაგებელი გამოუსწორებელ შეცდომაში შეიყვანა მშრომელი გლეხ-კაცობის ფსიხოლოგიის გაგება—ათვისებაში. მიწის მუშა ისტორიულ ცხოვრების შეცდომად იქმნა აღიარებული, ხოლო კაპიტალიზმი—ამ „შეცდომის“ გამომსწორ პირობად. რუსეთის რევოლიუციის მაგალითებმა სავსებით გააქარწყლა ასეთი შეხედულება და მუშა-გლეხობას დაუბრუნა „წართმეული“ უფლებები, „დაკარგული“ ავტორიტეტი, როგორ შეიძლებოდა, მაგ. 1789 წ. საფრანგეთის რევოლიუციაში ბრძოლის ავანპოსტები გლეხებს დაეჭირათ? რევოლიუცია არ იყო მუშურ-გლეხური, სოციალისტური. იგი იყო უაღრესად ბურჟუაზიული როგორც ბუნებით, ისე შინაარსით. ბურჟუაზია ცდილობდა ფეოდალიზმის კლანჭებისაგან განთავისუფლებას. ამიტომ რევოლიუციის პროგრამას ახალგაზრდა ბურჟუაზია ქმნიდა. გლეხ-კაცობას სრულებით არ ჰქონდა უშუალო კავშირი მოძრაობის მიზნებთან, არც შეიძლება ჰქონოდა. ცხადია, გლეხ კაცობა არ იბრძოლებდა ბურჟუაზიისათვის და არც „რევოლიუციონერის“ სახელწოდებას დაიმსახურებდა.

ასეთია ფაქტის ისტორიული ილიუსტრაცია.

რუსეთის რევოლუცია ანტი ბურჟუაზიული რევოლუციაა. მისი მონაპოვარი გადადის მუშების და გლეხების უშუალო განკარგულებაში. რევოლიუციონერმა გლეხობამ დროზე შეიგნო ეს ჭეშმარიტება და ოთხი წლის განმავლობაში გამუდმებულ ბრძოლის წარმოებით ნათელჰყო თავისი რევოლიუციონური და სოციალისტური ბუნება.

დიახ, ამის ძირითადი მიზეზი მშრომელ გლეხების ინტერესების წამოყენებაა რევოლიუციაში. გლეხთა ეს ინტერესი მიწის საკითხის რაციონალ გადაწყვეტაში გამოიხატება. აგრარული პოლიტიკა ჯანსაღური თვისებისაა: აწარმოეთ იგი წმინდა სოციალისტურ თვალსაზრისით—თქვენ მიიღებთ უაღრესად რევოლიუციონურ გლეხკაცობას, რევოლიუციონური რწმენით და სოციალისტური შეგნებით გატაცებულს; სცადეთ აგრარული პოლიტიკის აგრარულ კაპიტალიზმის ნიადაგზე წარმოება—გამბის ძალგვირთ დაწყდება რევოლიუციის რკინის სალტეები.

თეორიულად და პრაქტიკულად საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება, მიწის მუშათა ინტერესების გამართლებით. ამას გულისხმობს მიწის საკითხის გადაჭრა სოციალიზაციის ძირითადი პრინციპების დაცვით. არც მენშევიკური ბურჟუაზიული მუნიციპალიზაცია—ხომერიკიზაცია, არც ბოლშევიკური ნაციონალიზაცია კომუნიზაცია ვერ გაამართლა რევოლიუციონურ მასის ნებამ და სულისკვეთებამ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: რუსეთის რევოლიუციის შინა ბუნება არ იყო ბურჟუაზიული, მაგრამ არც ისე ახლოს იდგა რუსეთის სინამდვილე სოციალიზმის საზღვართან, როგორც ეს იოლად შეიძლებოდა მხოლოდ აზროვნებაში წარმოგვედგინა. გარდამავალ პერიოდის დამახასიათებელი იყო და არის მიწის სოციალიზაცია, სწორედ

რგი დადგა საფუძვლად აგრარულ რეფორმას. ოქტომბრის სოციალისტური რევოლიუცია სოციალიზაციის ცნების სოციალ-ეკონომიური ცხოვრების რეალობაში განადგებას ემსახურება.

რუსეთში მიწის საკითხის სოციალიზაციის თვალსაზრისით გადაჭრისათვის მზად იყო როგორც სუბიექტიური, ისე ობიექტიური პირობები, რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში რუსეთის გლეხ-კაცობას ნაროდნიკ ესერები წამ და უწუმ იმას ჩასჩიჩინებდნენ ყურში, რომ მიწა საზოგადო საკუთრებას უნდა შეადგენდეს, მიწით სარგებლობა „მხოლოდ მიწის მუშას უნდა შეეძლოს. „მიწა მიწის მუშას“—აი რა იდეით იყო გამსჭვალული რუსეთის მშრომელი ხალხი, სოციალისტური დემოკრატია. რუსი მუშა—გლეხი ორგანიულად შეუდუღდა სოციალიზაციის იდეას და იგი მშრომელთა ფართო მასებში საბოლაოოდ განმტკიცდა, ამას ხელს უწყობდა აგრეთვე სოციალ-ეკონომიური ხასიათის მიზეზი. მიწადმფლობელობის თემური ფორმა შესაძლებელს ხდიდა სოციალიზაციის უმტკივნეულოდ განმტკიცება - განხორციელებას.

მიწის სოციალიზაციის იდეა ჩვენში, საქართველოში, ერთგვარ ლოღიკურ რკალში იყო მომწყვდეული. გაჩენის უკულმართ მომენტიდან სოც.-დემოკრატია მუდამ დღე იმას ჩასჩხაოდა ჩვენს გლეხ კაცობას, რომ მიწის სოციალიზაცია სიბეცეა, თავად-აზნაურული იდეოლოგია, ბუშებისათვის მიუღებელი და სოციალიზმის თვალსაზრისით ყოვლად შეუწყნარებელი. კაპიტალიზმის განვითარების მოტრფიალე მენშევიკები გაშმაგებით იბრძოდნენ სოციალიზაციის წინააღმდეგ და სამწუხაროდ, ამ „საგმირო“ ბრძოლაში კიდევაც ჩაითრიეს ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა. ბუნებრივად ჩვენი გლეხ-კაცობა სოციალიზაციის მომხრე იყო. მიწის ყიდვა-გაყიდვის მოსპობა და მრავალი სრულებით მისაღები იყო გლეხობის თვალში. ამის საბუთები ბლომად მოგვცეს გლეხებმა 1905 წ. რევოლიუციაში მაგრამ,.. მენშევიკების სამი წლის ... ტონობამ და ბურჟუაზიულ „ხომერიკიზაციის“ განხორციელებამ ჩვენს გლეხობაში ჩანერგა კერძო საკუთრების ... ყვარული. ცხადია, დემოკრატიული რეჟიმი საბჭოთა რეჟიმად რომ არ შეცვლილიყო, საბოლოოდ უნდა გამოვთხოვებოდით სოციალისტურ ნაბიჯების გადადგმას აგრარულ სფეროში.

ჩვენს მოპირდაპირეებს არ სჯერათ, რომ აგრარულ ურთიერთობაშიაც ძირითადი, კარდინალი ხასიათის გარდაქმნასთან გვაქვს საქმე. მაგრამ სინამდვილის ათვისება სწორედ დიდ ტრანსფორმიზმს საბ. ვს ობიექტიურად მოქმედებს ... რთვენთა ცნობიერებაში და მიწადმფლობელობის ახალ ყაიდაზე მოწყობის ... რგზიაც. საბჭოთა საქართველოში ... ლად ტარდება სოციალიზაციის პრინციპიალი დებულებები. ოფიციალურად მოსპობილია მიწებით სპეკულიაცია, ... ყიდვა-გაყიდვა. მოსპობილია არა მუშების მიერ მიწით სარგებლობა, ... ფილია დაქირავებული შრომა, მიწის იჯარით გაცემა და სხ. და სხ. ... ერთი შეგნებული გლეხი არ არის ჩამოთვლილი ძირითადი მუხლების წინაამდეგი. პირიქით, მშრომელი მასსა დიდის აღტაცებით ... ბება სოციალიზაციის განხორციელების საქმეს. ... გლეხი გრძნობს ახალი მიწის კანონის დიდს უპირატესობას მენშევიკურთან შედარებით ... ლასათვის აშკარაა, რომ საბოლოოდ აღმოფხვრილი არის აგრარულ სფეროში თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ნაშთები. ამავე დროს ... დით დაცულია სოციალისტური მომავ... ტების არსებითი საზღვრები.

### ბელგია და გერმანია.

ბერლინი. 5 სექტ. ბელგიის დეპუტატები საკონტრიბუციო კომისიაში დელაკრუა და ბემელმანი ჩავიდნენ ბერლინში გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გადახდის გარანტიების შესახებ.

„ტანის“ სიტყვით, ბელგიამ გადასწყვიტა მტკიცედ დაიცვას თავისი უფლებები. დელეგატების მიერ მიღებული ინსტრუქციები ფენისისაგან სრულებით გარკვეულ ხასიათის არიან. ამ ინსტრუქციებში ფენისს შეუძლებლად მიაჩნია პროგრამის შეცვლა, ვინაიდან ბელგიას ძლიერ სჭირია ფულები.

### ბავარიაში.

ბერლინი. სექტემბრის 5-ს სოციალ-დემოკრატიული პარტია ბავარიაში გამოშვებულ მანიფესტში მოუწოდებს ყველა მუშებს მზად იყვნენ მონარქიის რესტავრაციის ცდის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

### საფრანგეთი და პოლონეთი.

საფრანგეთის კომერციული დელეგაციამ ინახულა ლოძი ჩავიდა ვარშავში, სადაც მიღებული იქნა მუნიციპალიტეტის წევრების მიერ.

### ირლანდიაში.

ბერლინი. სექტემბრის 5 ს პტი პარიზიენის ცნობით, ბრიტანეთის სამხედრო გემი, შევიდა კორკის ნავთსადგურში, რათა ხელი შეუშალოს აჯანყებულთათვის იარაღის მიწოდებას დასავლეთ ირლანდიაში.

### სასურსათო საკითხი გერმანიაში.

ბერლინი. სექტემბრის 5-ს ჰამბურგში გაიხსნა გერმანიის სახელმწიფოების სასურსათო მინისტრების თათბირი, ხალხისათვის სურსათის მიწოდების საკითხის გამოსარკვევად.

### უმაღლეს საბჭოს მოწვევა.

ჰანოვერი. სექტემბრის 5-ს გაზ. „ობსერვერის“ სიტყვით, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს ახლო მომავალში მოიწვიოს უმაღლესი საბჭო სარეპარაციო საკითხის განსახილველად, მაგრამ ეს მოწვევა მოხდება არა უადრეს ერთა ლიგის სესიის დამთავრებისა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ექსპერტთა უმრავლესობა და რომელიც დამთავრდება არა უადრეს ერთი თვისა.

### ერთა ლიგაში.

ბერლინი. სექტემბრის 5-ს ერთა ლიგის სესიის გახსნისას თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან სთქვა რომ ერთა ლიგის 3 წლის არსებობამ დაამტკიცა, რომ იგი არის აუცილებელი მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების მოსაწესრიგებლად: ორატორი მოუწოდებს არ დაეცვენ სულით იმ დაბრკოლებათა და სიძნელეების წინაშე, რომელიც დგას ლიგის წინაშე.

ბერლინი, სექტემბრის 5-ს ავსტრიის კანცლერმა სეიპელმა წარუდგინა ერთა ლიგის საბჭოს თხოვნა ავსტრიისათვის 50 მილ. დოლარის სესხის მიცემის შესახებ. ფიქრობენ, რომ სახელმწიფოებს არ შეეძლებათ ამ კრედიტის მიცემა მხოლოდ შეძლებენ გარანტიის მიცემას იმ პირობით, თუ რომ ავსტრია მიმართავს თავის პოლიტიკას დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით.

ჰანოვერი. სექტემბრის 5 ს საბერძნეთის მთავრობის წინადადებით კვირას ერთა ლიგა განიხილავს საკითხს განიარაღების შესახებ.

ჰანოვერი. სექტემბრის 5-ს ერთა ლიგის სესიის გახსნის დროს წარმოდგენილი იყვნენ 39 სახელმწიფო. ფიქრობენ, რომ არგენტინის გარდა სესიაში მონაწილეობას მიიღებენ შუა და სამხრეთ ამერიკის ბევრი სახელმწიფოები. განზრახულია მოეწყოს ჩამოსულ დელეგატების საპატივცემლო ბანკეტი ერთ-ერთ სასტუმროში ჟენევის ტბაზე.

### ერთმანეთს კბენენ,

ჰანოვერი. 5 სექტ. ვაშინგტონიდან მიღებულ ოფიციალური ცნობების თანახმად, ნიუ-კესტლში ამერიკის საელჩოს დაარსებას ინგლისის მთავრობა მეტად არასასურველად სთვლის.

### ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის მოწვევის გამო.

ჰანოვერი. 5 სექტ. ლოიდ-ჯორჯმა გამოსთქვა სურვილი სექტემბრის ბოლოში ვენეციაში ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

რომი. 5 სექტ. ინგლისისა და საფრანგეთს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის ვენეციაში მოწვევის ვადის საკითხის შესახებ.

ინგლისს სურს გადასდოს კონფერენციის მოწვევის ვადა ხოლო საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვს დაუყოვნებელ მოწვევას. ფიქრობენ, რომ კონფერენცია მაინც სექტემბერში იქნება მოწვეული.

### საარის ოლქი,

მოსკოვი. 6 სექტ. გერმანიის მთავრობამ განაახლა შუამდგომლობა ერთა ლიგის წინაშე საარის ოლქიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანის შესახებ.

### შეიარაღებულ ძალთა შემცირება.

მოსკოვი. 6 სექტ. შეიარაღებულ ძალის შემცირების კომისიამ ინგლისში მიიღო სესილის რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ შეუძლებელია სერიოზულად ლაპარაკი შეიარაღებულ ძალების შემცირებაზე, სანამ არ იქნება საერთო თავდაცვის კავშირის მტკიცე გარანტიები.

### საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა.

მოსკოვი 6 სექტემბერი. საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა დღითი-დღე მწვავდება, ინგლისის პრესა გამოსთქვამს უკიდურეს აღშფოთებას პუანკარეს უკანასკნელ ნოტის შესახებ და განსაკუთრებით იმის შესახებ, რომ საფრანგეთი მიუთითებს ინგლისს იმ მაღალ ფასებზე, რომელიც ინგლისმა დააწესა საფრანგეთისათვის მისაწოდებელ სამხედრო მასალებზე. საფრანგეთის პრესის ერთი ნაწილიც უხერხულობას გრძნობს ამ ნოტის გამო. გაზ. „ჟურნალი“ შიშობს, რომ ნოტას მოჰყვება სრულიად საწინააღმდეგო შედეგები იმისა, რაც გათვალისწინებული იყო.

### კომუნისტების დაპატიმრება ამერიკაში

მოსკოვი 6 სექ. გაზ. „იუმანიტე“ იტყობინება ამერიკის კომპარტიის ლიდერის პალისტერის ჩიკაგოში დაპატიმრების შესახებ, მისი პარტიული ყრილობაზე გამოსვლის გამო. 80 დელეგატიდან პოლიციამ დააპატიმრა 18 დელეგატი.

### პროფკავშირები ჩინეთში

მოსკოვი 6 სექ. ტიანცზინის პროფკავშირების სეკრეტარიატმა წარუდგინა პარლამენტს მუშების მოთხოვნილებები. მუშები—შეგირდები მოითხოვენ პროფკავშირების თავისუფლებას, 6 საათის სამუშაო დღეს შეგირდებისათვის და სოციალისტურ დაზღვევას.

### გაფიცვები შვეციაში

მოსკოვი. 6 სექ. შვეციაში გაიფიცნენ ასოთ-ამწყობები. დილის გაზეთები აღარ გამოსულან.

# რუსეთი

### ბირჟის ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობა.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. შინაგან ვაჭრობის მმართველობასთან არსებულმა თათბირმა დაადგინა მოიწვიოს ბირჟის ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობა.

### რკინის გზის ტარიფი,

მოსკოვი. 6 სექტემბერი. გზათა სახალხო კომისარმა მიიღო სასწრაფო ზომები შრომის თავდაცვის საბჭოს დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. დადგენილება გულისხმობს სარკინიგზო ტარიფის დაკლებას 50 პროც. მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივებისათვის, რომელნიც მიდიან სათბობი მასალის დასამზადებლად და დამზადებულ შეშის ჩამოსატანად.

### გლეხის სახლები,

მოსკოვი. 6 სექტემბერი. დამთავრდა გლეხთა ურთიერთ დამხმარე ცენტრალური სექციის პლენუმი. პლენუმმა იცნო აუცილებლად არსებობა „გლეხის სახლისა“. და მიანდო პრეზიდიუმს მიიღოს აქტიური მონაწილეობა მის მოქმედებაში. დადგენილია ამის შესახებ ფართოდ აცნობონ ასეთი სახლების ორგანიზაციისათვის საგუბერნიო ქალაქებში.

### ბასმაჩობა.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. სამარკანდიდან იტყობინებიან. წითელი არმიის ჩქარი მოქმედებამ სრული დეზორგანიზაცია შეიტანა ბასმაჩთა რიგებში სამარკანდის ოლქში, რის გამო კურგანის რაიონში დარჩა არა უმეტეს ორი ბასმაჩისა.

### ყირიმში

მოსკოვი. 6 სექტ. იმედები ახალი მოსავალზე დამყარებული არ გამართლდება. მიმდინარე წელს ყირიმის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს დასჭირდება შეინახოს 350.000 ყირიმის მცხოვრები, განსაკუთრებით ბავშვების მდგომარეობა აუტანელია. შედიან სოფლის საბჭოებიდან შუამდგომლობები ბავშვთა სახლის გახსნის შესახებ.

### სადგური „ლენინსკაია“

მოსკოვი. 6 სექტ. ბორისოვის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა სადგურ ვიტჩენინოს დაარქვას „ლენინსკაია“.

### დახმარება დამშეულთ

მოსკოვი. 6 სექტ. ასტრახანში მეორეჯერ ჩავიდა იტალიის წითელი ჯვრის მისია, რომელმაც ჩამოიტანა დამშეულთ 160,000 კონსერვი, მედიკამენტი,

### ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

მოსკოვი. 6 სექტ. პროვინციიდან მოდის აუარებელი ცნობები ახალგაზრდობის დღის დიდი ზეიმით ჩატარების შესახებ. ტომსკში შესდგა კრება მშრომელ ახალგაზრდობისა. გადაგზავნა დეპეშა ახალგაზრდობის კომინტერნისათვის.

ნიჟნი-ნოვგოროდში გაიმართა აღლუმი მანიფესტაცია და სახალხო სეირნობა.

ბრიანსკის დღესასწაული დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა. მოხდა მრავალრიცხოვანი მუშების და წითელ არმიელების დემონსტრაცია.

### სასურსათო კამპანია.

მოსკოვი. 6 სექტ. სათესლე სამეურნეოს ცნობით, 3 სექტემბრამდე მთელ საბჭოთა ფედერაციაში დაგროვებულია 3.990.000 ფ. სათესლე.

ციმბირის გუბერნიაში საზაფხულო ხორბალი აკრეფილია. მიმდინარეობს კარტოფილის აკრეფა. დესიატინა იძლევა ხუთას ფუთ კარტოფილს. საზამთრო ხორბლის დათესვა გრძელდება.

ციმბირში იხსნება საგუბერნიო ყრილობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა. ირიცხება ოცამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. კოოპერაციაში შეერთებულია 216 მეურნე.

# ახალი ამბები

— **განათლების მუშაკთა სახლი.** განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საექსკურსიო ბიურო აწყობს კავშირის წევრთათვის ექსკურსიას კახეთში კვირას 10 ა. წ. მსურველების ჩაწერა დაიწყო და სამგზავრო ფასი 250 ათასი მან., მიიღება კავშირის შენობაში (ოთახი № 35) დილის 10—2 საათამდე.

— **ტფილისის ქალაქის საბჭოში.** 507 წევრისაგან აღმასკომის სექციებში ჩაეწერა მხოლოდ 85 წევრი. მათ შორის ზოგი ჩაეწერა ორ-სამ სექციაში. ჩაწერილთა უმრავლესობა არის კომუნალური მეურნეობის სექციაში—56 წევრი. შემდეგ სამართველო სექციაში—19, ფინანსიურ სექციაში—10, სახ. განათლების—9, ჯანმრთელობის—4 და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციაში—4. საბჭოს 507 წევრებისაგან ტფილისში არის მუდმივად 400 წევრი—დანარჩენები ან ტფილისს გარეშე ცხოვრობენ ან და გაგზავნილი არიან სამსახურის საქმეებზე.

— **წყალსაზომები.** ტფილისის წყალსადენის დირექციის მიერ გერმანიაში შეძენილია 1000 წყალსაზომი, რომლებიც მიღებულ იქნება ტფილისში ერთი თვის შემდეგ. წყალსადენის სახელოსნოებში მოგვარებულია წყალსაზომთა რემონტის საქმე. გაკეთებულია ნაწილები 260 წყალსაზომისათვის. და ამ დღეებში დაიწყება მათი მასიური რემონტი. მიღებულია ზომები მუშათა სახლებში წყალსაზომების დადგმისათვის.

— **საზოგადო აღწერა.** ქალაქების მცხოვრებთა აღწერა მოხდება ოქტომბრის დამდეგს.

— **სახელმწიფო ნაოსნობა.** კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულია „დებულება საქართველოს სახელმწიფოებრივ ნაოსნობის შესახებ“, რომელსაც მიზნად აქვს ნაოსნობის განვითარება საქართველოში და აფხაზეთში. სახელმწიფო ნაოსნობა იმყოფება საქართველოს საზღვაო კომისარიატის განკარგულებაში, რომელსაც აწარმოებს იგი სამეურნეო ანგარიშის თანახმად. ნაოსნობის სათავეში სდგას გამგეობა, რომელიც იმყოფება ტფილისში.

— **საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა აღწერა.** ცენტრალ სასტატისტიკო გამგეობამ შეადგინა მთავარი ბიურო საქართ. ქალაქების მცხოვრებთა აღსაწერად. ბიუროში შედიან: გამგე ცენტრ. სტატისტიკურ გამგეობისა, ქალაქის სტატისტიკური განყოფილების გამგე ამხ. რუხაძე და გამგე დემოგრაფიული განყოფილებისა ამხ. ფერაძე. ეს

---

საქართველო არსებითად აგრარული ქვეყანაა. აგრარული პოლიტიკა მეტად საგრძნობი პოლიტიკაა გლეხ-კაცობის ქვეყანაში. გლეხი ყველაზე ადრე შეამჩნევს უარყოფით მომენტებს მიწის საქმის მოწესრიგების საქმეში. ბუნების დიდი ქმნილება—მზე შეიცავს შავ წერტილებს. ადამიანის გონების პროდუქტი მით უმეტესად,—ვერ აცილდება შეცდომებს და შესწორებებს. ჩვენს აგრარულ პოლიტიკაშიაც არის მიზანშეუწონელი პუნქტები. ეს არ იყო მოულოდნელი და კიდეც ვამჩნევდით, ახლა კი, რამოდენიმე თვის პრაქტიკის შემდეგ—უშუალოდ განვიცდით.

მიწის მუშის წინაშე, მთელი თავისი სიმწვავით და სიძლიერით წამოჭრილია მიწის ნორმის საკითხი. ამ საკითხის გარშემოა კამათი გლეხების ყოველ კრებასა და შეკრებებზე. გლეხი ანათემას აძლევს, წყევლა-კრულვით იგონებს ამიერ-კავკასიის სეიმის და მენშევიკურ მთავრობის კანონებს მიწის შესახებ. მაგრამ ამავე დროს მისთვის ნათელი არის ის უარყოფითი მომენტიც, რომელიც შედის ახალი მიწის კანონის დამახასიათებელთა წყობაში. ეს უარყოფითი მომენტი—ნორმის სიმცირეა.

როგორც ვიცით, მიწის ნორმის განსაზღვრაში ეკონომიურ ერთეულად მიღებულ იქმნა სახეში ოჯახი 3—5 წევრისაგან შემდგარი. ხოლო ოჯახი, რომელიც შესდგება მეტ ან ნაკლებ წევრთაგან, ემატება ან აკლდება განსაზღვრული ნაწილი, რომელიც არ არის დიდი მნიშვნელობის მქონე. ამ მუხლის ნაკლს გლეხი ადვილად ამჩნევს და კიდევაც ლოღიკურად ატარებს მუშურს კრიტიკაში. ეგ ნაკლი მდგომარეობს შემდეგში: ოჯახი, რომელიც ერთი წევრისაგან შესდგება, ხუთ ქცევაზე მეტ მიწას ღებულობს, ხოლო 7—8 წევრიანი ოჯახი 8—9 ქცევას დაახლოებით. უკანასკნელ შემთხვევაში სული ღებულობს ქცევას ნაწევრით, პირველ შემთხვევაში—ხუთ ქცევას ნაწევრით. ასეთი უთანასწორობის პრინციპის არსებობა გლეხისათვის იმდენად ნათელია და ხელშესახები, რომ იგი მუდამ ამაზე ფიქრობს და მისი გამოსწორების ცდაშია. ეს გარემოება კიდევ ქმნის უხერხულობას, რადგან გლეხებში ზრდის შურისძიებას, მტრობას მიწის არა თანასწორად მიღების ნიადაგზე. ასეთი ტენდენცია, საბედნიეროდ, უკვე „მინელების“ გზაზეა და ამ მომენტს არა აქვს გადამჭრელი და არსებითი მნიშვნელობა.

თავი და თავი არის მეორე, უფრო ძირითადი და გადამჭრელი მნიშვნელობის მქონე გარემოება. საქმე შემდეგშია. ოჯახი, რომელიც შესდგება, მაგ. ოთხი მუშა ხელისაგან, არსებულ აგრარულ კანონის მიხედვით, გამოდის 7—8 ქცევის მფლობელის როლში. მიიღეთ სახეში აგრეთვე ოჯახის წევრი დედაკაცები და ბავშვები, აგრეთვე ისიც, რომ ამ ნორმას ხაზში შედის ეზო, საბაღჩო და სხ. ცხადია, სახნავ-სათეს მიწის ეს რაოდენობა არამც თუ ოთხი მუშა კაცისთვის, ორისთვის არაა საკმარისი. აქ იშლება ჩვენს წინაშე ჯადოსნური წრე. ოთხი მიწის მუშამ რითი უნდა ირჩინოს თავი დანარჩენის ოჯახის დანარჩენი წევრები? უსათუოდ მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. ჰო, თუ მიწის მუშაობის გარდა თუ კი რაიმე ხელობას მისდევენ. მაგრამ ასეთებს ძლიერ იშვიათად ასში ერთ თუ შეხვდებით. გლეხი აშკარად გრძნობს, რომ მიწა მას არა აქვს იმდენი, რამდენიც მას შეუძლია თავისი მძლავრიანი მარჯვენით დაამუშაოს და ცოლშვილი გამოკვებოს. მართალია, ვინც ოჯახიდან გამოყოფა მიასწრო მიწის კანონის გამოცემამდე, ეძლევა ცალკე ოჯახის უფლება, ითვლება ეკონომიურ ერთეულად და ღებულობს მიწის განსაზღვრულ რაოდენობას, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა. მასიური გავლენაა ის, რომ ოჯახში რამოდენიმე მიწის მუშა მამაკაცია, რომლებიც ვერ გაყოფილან ფინანსიური ეკონომიური უილაჯობის, სიღარიბის გამო, ხოლო მიწას მოითხოვენ დასამუშავებლად.

საბჭოთა მთავრობის აგრარულ პოლიტიკაში ეს არის ერთად ერთი უარყოფითი სახე, მიზანშეუწონელი ნაბიჯი, საგულისხმო დეფექტი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორებულ იქმნას.

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში უკვე დაიარებიან მიწისმზომელნი და თემში არსებულ მიწის კომისიის დახმარებით მუშაობენ. თემის აღმასკომებს უამრავ მოთხოვნილებებთან აქვთ საქმე და უძნელდებათ პასუხის მიცემა ზემოაღნიშნულ ნიადაგზე შექმნილ მდგომარეობაზე. თემის აღმასკომები მეტად უხერხულად გრძნობენ თავს: დაიცვან კანონი—მუშათა ინტერესს ელობებიან წინ, მიწის მუშის ინტერესი მიიღონ მხედველობაში—კანონს უხვევენ გვერდს, გაჩუმდენ—სცილდებიან მოვალეობის სიმაღლეს და ანარქიას უმზადებენ ნიადაგს. ასეთია ლოღიკური რკალი მათ წინაშე გადაშლილი.

თემის კომიტეტები მოხერხებულად სარგებლობენ ასეთ მდგომარეობით მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი და ხელისუფლების მოპირდაპირენი იმარჯვებენ ხელში ასეთ მდიდარ სადემაგოგო მასალას და ინტრიგულად იყენებენ თავიანთ შავ მიზნების რეალიზაციისათვის. მათს პროვოკატორულ ლოღიკას და შავრაზმულ სისინს არ აქვს არავითარი საზღვარი. რა თქმა უნდა აგრარული კანონის დადებით მხარეებს ისინი უმალავენ გლეხებს და მხოლოდ მის უარყოფით მომენტისაკენ უთითებენ. მიწის სივიწროვის მოსალოდნელ შედეგების აზრით გაფაცებული გლეხი სრულებით ვერ აქცევს ყურადღებას კანონის „მაღალ მოსაზრებებს“. ეს ხომ უდაო დებულებაა, რომ საზოგადოდ მასსის ფსიხოლოგია ისეთია, რომ მასსა სინემატოგრაფიულ სისწრაფით შეიგრძნობს მოვლენის უარყოფით მხარეს, ხოლო დადებითს—ძლიერ დაგვიანებით.

სოციალიზაციის თვალსაზრისით მიწის ნორმის საკითხი სავსებით მეორე ხარისხოვანი საკითხია, შრომის და მოხმარების ნორმა—აი საზომი, რომლითაც შესაძლებელია მიწის მუშის ინტერესების დაკმაყოფილება. პრაქტიკულად ნორმის საკითხი უპირველესი საკითხია მსჯელობისა და სოფლის ცხოვრების. საბჭოთა აგრარულ პოლიტიკაში არაფერია ნათქვამი მიწის ნორმის შრომის საზომით განსაზღვრის შესახებ. საჭიროა ამ ნაკლის შევსებაც და მხედველობაში შრომის პრინციპის მიღება.

მთელი მიწები მიწის მუშების ხელში გადავიდა. არც მონასტრებს, არც მემამულეებს, არც უფლისწულებს, არც მღვდლებს და ვაჭარ-სპეკულიანტებს არ აქვთ საშუალება მიწით მფლობელობისა. საკვირველია ასეთ პირობებში მიწის კრიზისთან გვქონდეს საქმე!—ასე ფიქრობს მშრომელი გლეხობა და არც არის საკმაო საფუძველს მოკლებული მისი მსჯელობა. ჩვენის აზრით, ჩვენში აგრარული სტატისტიკა სასწორით არ არის შედგენილი. მენშევიკები როდესაც ჰკრებდნენ ცნობებს სწორი სტატისტიკის შედგენისათვის, არ უხსნიდნენ გლეხებს საქმის შინაარსს. გლეხები კი მალავდნენ სინამდვილეს, ეშინოდათ, ვაი თუ მართალი ვუთხრათ, გვითხრან ბევრი მიწა გქონიათ და ჩამოგვართვიო. ხოლო ოჯახის წევრთა რაოდენობას უმატებდნენ, მეტი მიწა შეგვხვდებაო. ასეთ პირობებში, ცხადია, არც აგრარული სტატისტიკა იქმნა შედგენილი სწორად და არც აღნუსხული მცხოვრებთა რიცხვი. ამიტომ აგრარული პოლიტიკის ფართო და სწორ ნიადაგზე დაყენებისათვის აუცილებელია მენშევიკების უთავბოლო ნაცოდვილარის ძირითადი რევიზია და დახლოვებით სწორი სტატისტიკის შედგენა აგრარულ სფეროში.

მიწის კანონი უკვე გამოცემულია და უკვე ცხოვრების პრაქტიკაშია. Post factum უხერხულია წერა და ლაპარაკი. მაგრამ ყოველი თეორიის მახინჯი მხარე არსებითად პრაქტიკაში ხდება ხელშესახები. პრაქტიკა კი კატეგორიულ დავალების წინაშე გვაყენებს: მიწის მუშა მიწით უნდა დაკმაყოფილდეს, არსებული მიწის ნორმა, კანონით განსაზღვრული, არ არის მუშის ინტერესის დამაკმაყოფილებელი. ნორმის ჩარჩოები უნდა გაფართოვდეს, ე. ი. სახეში მიღებული იქნეს არა 3—5 სულისაგან შემდგარი ოჯახი, არამედ მიწის მუშის ენერგიული მკლავები. ეგ არის აგრარული პოლიტიკის პრაქტიკული მხარე, სინამდვილის წიაღიდან ამოღებული.

აგრარული პრობლემა მეტად რთული და სერიოზული ეკონომიური ამოცანაა. დიდი სიფრთხილე, წინდახედულება და ინტუიცია საჭირო მისი ლოიალი და მიზანშეწონილი გადაწყვეტისათვის. აზრის ერთი გაქანებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია. საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა, ობიექტიური დაკვირვება, თუ გინდ—ექსპერიმენტალი გზით სიარული წინასწარ განსაზღვრულ გეგმის საფუძველით განხორციელებისაკენ.

ჩვენს აგრარულ კანონს მხოლოდ რამოდენიმე თვის პრაქტიკა აქვს. ყველასათვის აშკარაა მისი დიდი სოციალ ტრანსფორმაციის ბუნება და სოციალისტური დანიშნულება, მხოლოდ აუცილებელი საჭიროებაა კანონის აღნიშნულ ერთად-ერთი უარყოფითი მომენტისაგან განთავისუფლება.

ვ. მუშიშვილი.

ბიურო ჟკვე შეუდგა მუშაობას და დანიშნა ორი რწმუნებული მომავალი აღწერის ჩასატარებლად—ამხ. საქართველოსათვის ამხ. კარიჭაშვილი და დასავლეთ საქართველოსათვის ამხ. კარბელაშვილი.

თანახმად საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ტფილისის, ქუთაისის, ბათომის, ფოთის და სოხუმის თვითმართველობანი აღწერას აწდენენ საკუთარი ხარჯით. დანარჩენი ქალაქების მცხოვრებთა აღწერა ხდება ცენტრ. სტატისტიკური გამგეობის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით, რაზედაც მთავრობის მიერ გადადებულია 500,000,000 მან. ტფილისის აღსაწერად ტფ. აღმასკომის მიერ გადადებულია 1,200,000,000 მანეთი.

**— განათლების მუშაკთა სახლი** განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საექსკურსიო ბიურო აწყობს კავშირის წევრთათვის ექსკურსიას კახეთში კვირას 10 ა/წ. მსურველების ჩაწერა დაიწყო და სამგზავრო ფასი 250.000 მან., რომელიც მიიღება კავშირის შენობაში (ოთახი № 35) 10-ს—2-მდე.

**— ახალი გზის გაყვანა.** სამაზრო აღმასკომ. პრეზიდიუმის დადგენილებით, განზრახულია გზის გაყვანა ტფილისი-წყნეთი, წყნეთი-თეთრი დუქანი, რომელიც შეამოკლებს ტფილის-მანგლისის გზას 14 ვერსით.

**— ტყიბულის ნახშირი.** ტყიბულის მრეწველობის მმართველობა ბათომში აპირებს მუდმივ საწყობს ტყიბულის ნახშირისათვის, რომლისგანაც დაიტვირთება გემები.

**— ახალი სადერბო წესდება.** ფინანსთა კომისარიატისაგან გამომუშავებულია პროექტი ახალი, ფრიად გამარტივებული სადერბო წესდება.

**— თესვის კამპანია.** თანახმად მიწად-მოქმედების კომისარიატის დადგენილებისა საბაზრო თესვის კომისია შეუდგა სათესი ფონდის შექმნას.

**— განათლების მუშაკთა კავშირში.** ხუთშაბათს 7 ენკენისთვეს, საღამოს 6 ს. 34 ოთახში ამხ. არტემოვისა წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე „შაცკის სასწავლებლიდან დარჩენილი შთაბეჭდილების შესახებ".

**— მე-3 შრომის პროფესიონალური სკოლა.** ყოფილი კუკიის პროფესიონალური სკოლა (ანდრეევის ქ. № 18) გადაკეთებულია მე-3 შრომის პროფესიონალურ სკოლად, რომელშიაც მიიღებიან ორთავე სქესის ბავშვები, (პირველ კლასში), შრომის სკოლის პირველი საფეხურის კურს დამთავრებულნი. სკოლა ექვსწლიანია. კურს დასრულებულთ ეძლევათ ხელსაქმის და ხელთგარჯილობის უფლება, მეხუთე კლასიდან კი შეუძლიათ სწავლის გასაგრძელებლად ყოველ ტეხნიკუმში გადასვლა.

განცხადებების მიღება 5—20 ენკენისთვემდე.

— შემოწირულებ**ა** ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად შემოვიდა ტფილისის აღმასკომის სალაროში შემდეგი შემოწირულებანი:

1) განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების შტაბის თანამშრომელთაგან—1.500.000 მან. 2) ყოფილ საფაროვის თამბაქოს მუშა-მოსამსახურეებისაგან—9.830.000 მან. 3) ელასაბედაშვილისაგან—215.000 მან. 4) კამოს დამკრძალავ კომისიისაგან ამხ. ლ. დუმბაძის ხელით—10.000.000 მან. სულ 21.545.000 მან.

## შეცდომის გასწორება

„ტრიბუნას" № 284-ში ამხ. სერ. ამაღლობელის წერილში არის შემდეგი კორექტურული შეცდომები. სწერია „როდესაც ეროვნული პოლიტიკა სათანადოთ გამოსწორდება, მაშინ მშრომელი დადგება საბჭოთა წყობილების დამცველთა რიგებში." უნდა იყოს „**ყველა** მშრომელი..." სწერია „მემარჯვენე პარტიებს არა ყავს მშრომელთა სამშობლოში, საქართველოში დასაყრდენი"... უნდა იყოს „**საკმაო** დასაყრდენი"... აგრეთვე ხაზ-გასმული სიტყვები ჩვეულებრივი ასოებით არის აწყობილი.

## პროვინციის ცხოვრება

**რ. ს. ს. რ. დროშა ხომალდ „ლუჩზედ".** თანახმად საზ. სასამართლოს გადაწყვეტილებისა ინგლისის კომპანიის მიერ მოტაცებულ რუსეთის გემზედ „ლუჩზედ", რომელიც იწოდებოდა „ლედი ელეონარად" დაუბრუნდა რ. ს. ს. რ. საბჭოთა რესპუბლიკის დროშის მიღების ცერემონია მოხდა დიდი ზეიმით. მიღებისას წაკითხული იქმნა აქტი გემის ჩაბარებისა საერთაშორისო უფლების თანახმად.

დროშის მიღებისას იმღერეს ინტერნაციონალი.

**ბანდიტების გასამართლება.** დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალმა მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი ზიბულვაძეს და ცაკაძეს ბანდიტობისათვის. ბრალდებულება გაძარცვის მიზნით მხეცურად დაახრჩვეს 3 კაცი, (2 მამაკაცი და 1 ქალი).

**ბირჟის ორგანიზაცია** შრომის ბირჟის გამგემ აჭარის სახ. საფინანსო კომისარიატში შეიტანა წინადადება კომისართა საბჭოში განსახილველად, რომელიც მოითხოვს საქონლის მიწოდება—მოთხოვნის ცენტრალიზაციას და საბირჟო საქმეთა რეგისტრაციას. ხელისუფლების დახმარების გარეშე ბათომის ბირჟას არა აქვს საშუალება მიაღწიოს ამ მიზანს. დაახლოვებით ასეთსავე მდგომარეობაშია რუსეთის ყველა ბირჟები- ზოგ მათგანს დაეხმარა უმაღლესი ხელისუფლება.

ასეთივე დახმარება საგრძნობლად გააუმჯობესებს ბათომის ბირჟას.

**მოსავალი საჭამიას თემში.** წელს მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს საჭამიას სერის თემში (ოზურგეთის მაზრა). თუ შემდეგში წვიმებმა ხელი არ შეუშალა, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მოსავალი ამ თემს არ ახსოვს. ყანები მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს და მშრომელ ხალხს დიდი იმედი აქვს ერთ წელზე მეტის სარჩოს მოწევევისა. ამ ბოლო ხანებში წვიმებმა მოუხშირეს და ეს გარემოება ძლიერ აშინებს ხალხს. ვენახის მოსავალი ნაკლები იქნება და ამ მხრივ შარშანდელთან შედარებით კრიზისია. ხილის მოსავალი კარგია და ეს ორი-სამი წელიწადია ხალხმა ხელი მოსჭიდა კართოფილის მოშენებას, რომელსაც წელს ძლიერ კარგი პირი უჩანს. ამ თემიდან კართოფილი გააქვთ გასაყიდათ ახლობელ ბაზარზე (სამტრედიასა და ჩოხატაურში).

**კულტურული მუშაობა საჭამიას თემში.** საჭამიას სერიის თემი (ოზურგეთის მაზრა) შედარებით სხვა თემებთან კულტურულად დაწინაურებულია და კულტურული ძალებიც არის. 1916 წლიდან აქ გახსნეს ოთხ კლასიანი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლა-განათლებას ღებულობდნენ ახლო მდებარე სოფლების მშრომელი ხალხის შვილები. კურსს დამთავრებულებს ამ სასწავლებელში გამოუცდელად ღებულობენ გიმნაზიის მერვე კლასში. ამ ჟამად ეს სასწავლებელი გადაკეთებულია შრომის სკოლად, სადაც მეცადინეობს 400 ბავშვი ორივე სქესის. მასწავლებელია 12-დე, რომელნიც თავის დროზე ჯამაგირს ვერ ღებულობენ და ძლიერ დიდ გასაჭირში არიან. კულტურული მუშაობა ამ ჟამად ძლიერ მოდუნებულია და ამას თავის მიზეზები აქვს. არის სამკითხველო, სადაც მოდის თითმქის ყველა გაზეთები, მაგრამ ფოსტის დაუდევრობის გამო ძლიერ იგვიანებს და ხშირად იკარგება. დიდი ხანია არსებობს ე. წ. დრამატიული წრე, რომელმაც ვერ გამოიჩინა შესაფერისი უნარიანობა და ამიტომ დაწინაურება არ ემჩნევა. წელს ზაფხულის სეზონში გამართული იყო რამოდენიმე წარმოდგენები, ხალხი მრავალი ესწრება და აღფრთოვანებულია ასეთი სახეობით. საზოგადოდ ხალხში დიდი ინტერესი არის კულტურულ ცხოვრებისადმი და საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ და დააკმაყოფილოს მასის მოთხოვნილებანი.

## სამხატვრო ქრონიკა

— გაზ. „ბახტრიონი". გამოვიდა გაზ. „ბახტრიონის" მორიგი მე-9 ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: „ქართულ დრამის სეზონი" არ. ლეისტის—„ქართველები და ზღვა", ვ. ბარნოვის „ბესიკი". დ. პავლიაშვილის—„ვაჟა-ფშაველა". ლექსები: რ. გვეტაძის, გ. ლეონიძისა და გ. საგანელის.

## მოწერილი ამბები

**ხოფ. წყნეთი. (ტფ. მაზრა)** საზოგადოების კრება 27 აგვისტოს ა. წ. მიმიწვია და მთხოვა აღმომეჩინა მათთვის ტეხნიკური დახმარება გზაგაყვანილების გაყვანაში ტფილისიდან წყნეთამდე და წყნეთიდან თეთრ დუქნამდე „სამადლო". დიდი სიამოვნებით მოვისმინე საზოგადოების თხოვნა და დიჩქარებით შევუდექი დაახლოვებითი ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას და ვთხოვე საზოგადოების კრებას, რათა აერჩია გზის კომისია. კომისია არჩეული იქმნა. მეორე დღეს 28 აგვისტოს ვთხოვე გზის კომისია, რათა გამოეყვანათ მუშა ხელი გზაზე სამუშაოდ, არ გავიდა საათ-ნახევარი და ვნახე თემის აღმასკომის სამმართველოში შეიკრიბა თავი მთელმა წყნეთის მუშებმა და გლეხებმა ნიჩბებით და წერაქვებით ხელში გზაზე სამუშაოდ წასასვლელად. მუშები მწკრივად დაეწყო, აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ფარესიშვილი შრომის განყოფილების გამგე შაჰხულოვი წერაქვებით ხელში მუშებს დაუდგნენ წინ და გავწიეთ სამუშაოდ.

4 წელიწადია ვმუშაობ ტფილისის მაზრაში გზების გაყვანაში და არ მინახავს ასეთი ერთსულოვანი მუშების ყოველ დღე გზაზე გამოსვლა როგორიც წყნეთში.

ვიმუშავეთ სულ ოთხი დღე და ტფილისიდან წყნეთამდე იმდენად მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა, რომ თავისუფლად შეუძლია ავტომობილებსაც იარონ, იმ გაფულულ გზაზე, რომელიც იყო იქამდე, ტფილის—წყნეთ სამადლოს გზას აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც მანგლისის, აგრეთვე წავკის რაიონისათვის, რომელიც გზას სჭრის ტფილის-მანგლის შორის 12—13 ვერს და ეს მანძილი არის დიდი შედავათი ტვირთსაზიდავი საშვალებისათვის.

იმედია მთავრობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ამ გზის აღდგენას და გაუწევს დახმარებას როგორც სამშენებლო მასალით ხიდებისათვის, აგრეთვე ფულით ქვის დასამტვრევად.

ტფ. მაზრ. აღმასკომის ტეხნიკოსი,

**ნ. პაპიძე.**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 48.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში ყოველგვარი ტვირთის თავისუფლად გატანის შესახებ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნებადართულ იქნეს საქართველოს სოც, საბჭ. რესპუბლიკიდან თავისუფალი გატანა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში ყოველგვარი ტვირთესა.

2. ყველა დადგენილება და განკარგულება, რომელიც უკვე გამოცემულია ამის გამო, გაუქმებულ იქმნეს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკველია.**

სასურსათო სახალხო კომისარი **ა. ერქომაიშვილი,**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. აფანასიევი.**

1922 წ. სექტემბრის 1

ტფილისი—სასახლე.

### დეკრეტი № 6.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ამა 1922 წ. აგვისტოს 31-დან ამხ. ბ. კვირკველია დანიშნულია სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ ამხ. ს. ქავთარაძის აქ არ ყოფნის დროის განმავლობაში.

საქ- სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

საქართველოს კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. აფანასიევი.**

1922 წ. აგვისტოს 31.

## ჩვენი ფოსტა

ბათომი. **მემედ აბაშიძეს**—გაზეთი გვეზავნებათ. „ვექფის საკითხი" დროგამოშვებით დაიბეჭდება.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი


### რედაქციისაგან

დღეიდან მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ტრიბუნაზე" ტფილისის ყველა უბნებში მიტანით. ხელისმოწერა შეიძლება რედაქციაშიაც და გაზეთების ტრესტშიაც (რუსთაველის პროსპექტი, № 24).

### ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზების
# სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 7 ენკენისთვეს ამა წლის 12 საათზე სამმართველოს შენობაში დანიშნულია

## შეჯიბრება იჯარით გაცემაზე:

ბუფეტისა სად. იჩხეზე, სავაჭრო ფარდულისა სადგურ ამამლოში, საპირფარეშოებისა სადგურ ხაჩმას და სადახლოში და ტფილისის სადგურზე ყოფილ საფარეშოსი, მოთავსებულის ტფილისისავე საქონლის ეზოში. საფარეშო გაიცემა იჯარით იმ პირობით, რომ მოიჯარადრემ თავის ხარჯით გადააკეთოს იგი სავაჭრო ფარდულად.

განცხადებები, სადერბო გადასახადით განაღდებულნი 10.000 მან. რაოდენობით, უნდა შეტანილ იქმნან დახურულ კონვერტებში წარწერით: „ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველოს საბჭოში 7 ენკენისთვეს შეჯიბრებისათვის". განცხადებებს უნდა დაერთოს კვიტანციები საწინდარის შეტანის შესახებ რაოდენობით 1.000.000 მანეთისა.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეჯიბრების შესახებ შეიძლება ეკონომიურ დარგის კომერციულ ნაწილში ყოველ დღე, 10 საათიდან 2 საათამდე, კვირა-უქმეების გარდა.

№ 25. (3—3).



ყოველკვირეული-იუმორისტული ჟურნალი გამოვა კვირას, სექტემბრის 10-ს. მასალები უნდა გამოიგზავნოს დროებით „ტრიბუნის" რედაქციის მისამართით.